ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №71819

ნომერი: AR126816

თარიღი : 29.02.2012

გაცემის თარიღი : 06.03.2012

გაცნობის თარიღი : 06.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი სამგორი , N 14 , (ნაკვ. 09/005) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ბერეჟიანი პ/ნ 01015000381
- თბილისი მტკვრის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ აღნიშნულის განხორციელება სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, მხოლოდ სერვიტუტით დაუტვირთავ ტერიტორიაზე. ვინაიდან წარმოდგენილი გეგმით სავარაუდოდ სამუშაოების ნაწილი ხორციელდება სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე საჭიროა წარმოადგინოთ საკადასტრო გეგმა, სადაც ზუსტად იქნება დატანილი მიწით ამოსასვლები ტერიტორიის და კონტეინერის განთავსების ადგილები, რომელიც ატვირთულ უნდა იყოს "ფაილის მიმაგრების" გრაფაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.